


საქართველო კოსმოსის ათვისების პროექტში ერთვება



საქართველო, გლობალურ კომპანიებთან და ქართულ საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ერთად, ერთვება კოსმოსის ათვისების პროექტში. ინფორმაციას საქართველოს ეროვნული მუზეუმი ავრცელებს.

ბოლო პერიოდში, მსოფლიოს უმსხვირესი ორგანიზაციები კოსმოსის ათვისების მიმართულებით განხორციელებულ ქმედებებს ხშირად ააწონსებენ. ამერიკის კოსმოსური სააგენტო (NASA) აქტიურად მუშაობს პლანეტა მარსის კოლონიზაციის პროექტზე.

NASA-ს ასტრონავტების მიერ კოსმოსურ სადგურზე საკვების მოყვანის რამდენიმე წარმატებული ექსპერიმენტი უკვე განხორციელდა, რაც სხვა მცენარეული კულტურის გამრავლებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. პოტენციური, რომელიც საქართველოს ამ მიმართულებით მუშაობისთვის გააჩნია, მსოფლიოში უნიკალურია, რადგან იგი ვაზის კულტივაციის უძველეს კულტურას ეხება.

საქართველოში ინიცირებული პროექტის პირველ ეტაპზე, საინიციატივო ჯგუფი ფორმირდება შემდეგიშემადგენლობით: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, კომპანია მოცროსოფტ-ის წარმომადგენელინიკოლოზ დობოტჯინიძე და კომპანია Space Farms – მომავლის სათბურის წარმომადგენლები.

აღნიშნული პროექტის შექმნაში წვლილი შეიტანა, ქართულ ბაზარზე წამყვანმა კრეატიულმა სააგენტო Windfor's – მამ.

სასტუმრო სტამბაში მიმდინარეობს რეგიონში პირველი ურბანული ვერტიკალური სათბური-ლაბორატორიის შექმნა, რომლის ოპერირებასაც

განახორციელებს კომპანია „SpaceFarms’’. აღნიშნული სათბური-
დაბორატორია 2018 წლის სექტემბრიდან დაიწყო ფუნქციონირებას.
დაბორატორიაში ვაზის სპეციალური ჯიშების გამოყვანა, კვლევა და
განვითარება მოხდება. აღნიშნული პროცესი BTU-ს ჩართულობით, HP-ს
ტექნიკური მხარდაჭერითა და ევროპის კოსმოსური სააგენტოს
სპეციალისტების მონაწილეობით წარიმართება.

პროექტის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდება სამუშაო სტრატეგია,
რომელიც მოიცავს შესასრულებელი სამუშაოების კონკრეტულ გეგმას და
ვადებს.

მარსის კოლონიზაციის ფარგლებში NASA-ს მიერ გამოცხადებულ
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად BTU-ს ბაზაზე კომპანია HP
Inc.-მა შექმნა კვლევითი დაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომი
იქნება აღნიშნულ პროექტზე მომუშავე ექსპერტებისთვისაც.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ქვეყნის
პოზიციონირებისთვის, არამხოლოდ რეგიონის ტექნოლოგიურ ჰაბად
ჩამოყალიბების პროცესში, არამედ საქართველოს უძველესი ისტორიული
და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის. პროექტის
გარშემო კვლევითი და საგანმანათლებლო პრაქტიკის შექმნის
პროცესში გამოყენებული იქნება ნივთების ინტერნეტი, ხელოვნური
ინტელექტი, მეგამონაცემები და სხვა ტექნოლოგიური მიმართულებები.